<p>ქვეპროგრამის დასახელება:</p>	<p>საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</p>	<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</p>	<p>2023 წელი</p>
<p>მუნიციპალური ბიუჯეტი</p>	<p>100 000</p>
<p>სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი</p>	<p>100 000</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	
<p>ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფა</p>	
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	
<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია ათეულობით განცხადება, რომლითაც ითხოვენ სიძველის გამო საცხოვრებელი სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლით დახმარებას. გამომდინარე აქედან საჭიროა აღნიშნული პროექტის განხორციელება, რათა ეტაპობრივად მოხდეს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, 0,4-0,45 მმ თუნუქის ფურცელის შექმნა და გაცემა განხორციელდება კომისიური წესით (მონაკვეთების ან მთლიანი ნაწილის) გადახურვის მიზნით. თუნუქის ფურცლების გაცემისას უპირატესობა მიენიჭება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს.</p> <p>დამატებითი ინორმაცია</p> <p>მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განხცადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; 2. შესაბამისი კომისიის ოქმი; <p>თუნუქის ფურცლები გაიცემა ინდივიდუალურად შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.</p>	

დასახელება	პროდუქტი			
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)	
საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა		100 000	100 000	
ჯამი			100 000	
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;		გენდერული	არა

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები	დახმარების მიმღებ ოჯახთა რაოდენობა	35	35	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	მომართვიანობის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 09
ქვეპროგრამის დასახელება:	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	226 800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	226 800
ქვეპროგრამის მიზანი	
ქედის მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებული და ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახების სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება	
ქვეპროგრამის აღწერა	
<p>ქედის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორია, რომელთა საცხოვრებელი სახლები სიძველის გამო ამორტიზირებულია და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნულ ოჯახებს არ გააჩნიათ ახალი საცხოვრებელი სახლების აშენების ან აღდგენის რესურსი, მუნიციპალიტეტის მერია მათ აუშენებს ახალ კაპიტალურ საცხოვრებელ სახლებს არსებული პროექტით.</p> <p>ბენეფიციართა შერჩევა მოხდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.</p> <p>პროგრამაში ჩაერთვება 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები.</p>	

დამატებითი ინფორმაცია

ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება შესაბამისი კომისიის ოქმის საფუძველზე.
 პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ფიზიკური პირი, რომელიც არის ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები და სხვა ალტერნატიული ფართის არმქონე სოციალურად დაუცველი.
 ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
 3. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.
 4. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.
 5. ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის პირადობის მოწმობის და არასრულწლოვანების დაბადების მოწმობის ქსეროასლები.
 6. გეოლოგიური დასკვნა;
 შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭება:
 1. იმ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 100 000-მდე;
 2. ოჯახებს სადაც ცხოვრობენ შშმ სტატუსის მქონე პირები;
 3. მრავალშვილიანი ოჯახები (18 წლამდე ოთხი და მეტი).
 4. მრავალსულიანი ოჯახები;
 შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შექმნა	5	45360	226800
ჯამი			226 800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შექმნა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები	დახმარების მიმღებ ოჯახთა რაოდენობა	4	5	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	მომართვიანობის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 10
ქვეპროგრამის დასახელება:	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	180 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	180 000
ქვეპროგრამის მიზანი	
მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	
ქვეპროგრამის აღწერა	
<p>გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციარებზე ზრუნვა და ხელშეწყობა, მაინც სრულად ვერ ხერხდება აღნიშნულ პირებზე სხვადასხვა მომსახურების უზრუნველყოფა, რის გამოც შემუშავებული იქნა მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის მატერიალური დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო/ჰიგიენური საგნების შესაძენად ფინანსური დახმარება გათვალისწინებული იქნება ყოველთვიურად, პროგრამით ისარგებლებს ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:</p> <ol style="list-style-type: none"> 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები, თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით; 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები, კერძოდ: ა) მუდმივად ეტლით მოსარგებლე; ბ) მუდმივად მწოლიარე, თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით; <p>პროგრამის განხორციელების მიზნით 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარების განცხადებების შესასწავლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას შესაბამისი კომისია, რის საფუძველზეც მოხდება ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების შეფასება და ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვა.</p> <p>დამატებით ინფორმაცია</p> <p>პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> განცხადება მერის ან მერის მოადგილის სახელზე, 0-18 წლის ასაკის ბავშვების შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის სახელზე; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; შშმ პირის დამადასტურებელი მოწმობა ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან; შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 	

5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

6. ექიმის მიერ გაცემული ცნობა (ფორმა N100), სადაც მითითებული იქნება 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარის მდგომარეობა (მუდმივად ეტლით მოსარგებლე ან მუდმივად მწოლიარე);

მოვლის საჭიროების საგნების შესაძენად თანხა გაიცემა ყოველთვიურად, უნაღლო ანგარიშსწორებით, განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები	70	1 200	84 000
		100*12	
18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები	40	2 400	96 000
		200*12	
ჯამი			180 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები	X	X	X	X
18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით ბენეფიციართა ოჯახები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	დიახ
--	--	-----------	------

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები	ოჯახი	65	70	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მომართვიანობის შესაბამისად	მომართვიანობის სიმცირე
უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები	ოჯახი	0	40	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მომართვიანობის შესაბამისად	მომართვიანობის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 11	
ქვეპროგრამის დასახელება:	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი	

მუნიციპალური ბიუჯეტი	14 400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	14 400
ქვეპროგრამის მიზანი	
0-დან 18 წლამდე ასაკის სპეციალურ კვებაზე მყოფი ბავშვებისთვის შესაბამისი პროდუქტის შესაძენად ფინანსური დახმარება	
ქვეპროგრამის აღწერ	
<p>არსებობს იშვიათი დაავადებები (ფენილკეტონურია, გლუტენის აუტანლობა, ლაქტოზის აუტანლობა და ა.შ.), რომელთა მკურნალობის ძირითადი საშუალებაა დიეტათერაპია, დროული და სწორი დიეტის შემთხვევაში ბავშვი სრულფასოვნად განვითარდება და არაფერი შეაწუხებს. ასეთი პაციენტების სხვა ბავშვებისგან განმასხვავებელი ერთადერთი ნიშანი კვების რაციონი არის, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი პროდუქტის შეძენა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და აღნიშნულ ოჯახებს ფინანსური ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს.</p> <p>გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთ კატეგორიის ბენეფიციარებზე სპეციალური-სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება.</p> <p>დამატებითი ინფორმაცია</p> <p>პროგრამით ისარგებლებს 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები.</p> <p>პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთერთი მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 4. ექიმის მიერ გაცემული ფორმა N100, სადაც მითითებული იქნება, რომ მოქალაქე ნამდვილად საჭიროებს სპეციფიკურ-სამკურნალო კვების პროდუქტებს; 5. განმცხადებელი საბანკო რეკვიზიტები; <p>ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად.</p>	
დასახელება	პროდუქტი

	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)	
0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	1	7200	14 400	
		12*600		
ჯამი			14 400	
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება			X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა.		გენდერული	დიახ

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	1	2	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პირდაპირი მომართვიანობა	მომართვიანობის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 12	
ქვეპროგრამის დასახელება:	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი	26 200	
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება	18 853	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45 053	
ქვეპროგრამის მიზანი		
უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით		
ქვეპროგრამის აღწერა		

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს როგორც თემებში მოწყვლადი ჯგუფების ((სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ასევე იძულებით გადაადგილებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები) წინაშე არსებულ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რისკების შემცირების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და პოტენციალი. იგი ხელს უწყობს უსაფრთხო ადგილობრივი თემების განვითარებას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე პარტნიორთა მობილიზებით და თთვ (თემის თანამონაწილეობით განვითარება) მიდგომის გამოყენებით, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა დაინტერესებულ მხარეს თემის საჭიროებებზე რეაგირების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და თვით თემის წევრებს, რაც შემდგომში არის ამ პროცესის მდგრადობის წინაპირობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეთა ჯგუფი ქედაში აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, სოციალურ მხარდაჭერასა და თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სულ უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება სარგებელი როგორც მიზნობრივი ჯგუფებისათვის, ასევე მთლიანად თემის წევრებისათვის. სასწავლო ტრენინგ მოდულებისა და კვალიფიციური ტრენინგების არსებობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საშუალებას აძლევს განახორციელოს როგორც თემის წევრების სწავლება, ასევე მოახდინოს სათანადო რეაგირება საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ. პროექტი საშუალებას მისცემს თემს შეისწავლოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გადასცემს თემის წევრებს თავის პარტნიორებთან ერთად. თემის წევრები მიღებულ ცოდნასა და გამოუმუშავებულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით შეძლებენ უფრო მეტად უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბებას, რომელსაც შესწევს უნარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ქედაში წითელი ჯვრის გუნდთან კოორდინირებაში მოახდინონ კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის რისკის შემცირება და გაუმკლავდნენ ადგილზე წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის გამოწვევებს, მათ შორის covid-19-ით მიღებულ ზიანს. შეთავაზებული პროექტის განხორციელებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და

მოხალისეთა ჯგუფს ქედამი შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებისადმი მოწყვლადი ჯგუფების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და მთლიანად თემის ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში, მათ გაძლიერებასა და მათივე პრობლემების ადვოკატირებაში. მობილიზებული პარტნიორები, თემის წევრები და სერვისების მიწოდებასა და განხორციელებაში გაწვდილი მოხალისეები კი არის შეთავაზებული პროექტის წარმატებით განხორციელებისა და მდგრადობის გარანტი.

დასახელება	პროდუქტი			
	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ძირითადი პროგრამული ხარჯები				
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)	ღონისძიება	200	3	600
გაცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის	ვიზიტი	380,8	1	380,8
მოხალისეთა ინიციატივების განხორციელება საჭიროებებზე ქმედებისათვის	ინიციატივა	450	4	1 800
პირველი დახმარების სწავლების ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში (საჯარო სკოლების მასწავლებლები, მე-10-12 კლასებში, ბავშვთა ბაღების მასწავლებლები, ავტოტრანსპორტის მძღოლები და სხვა რისკის ჯგუფები, მინიმუმ 60 ბენეფიციარი)	ერთეული	400	4	1 600
სამედიცინო აქცია (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სხვა ხარჯები) დაუცველი ჯგუფებისათვის	ერთეული	230	12	2 760
ბინაზე მოვლის ბენეფიციართა მხარდამჭერი საქმიანობები	ერთეული	100	12	1 200
ქვეჯამი				8 340,8
სხვა პროგრამული ხარჯები				

საქმიანობათა ცენტრის აღჭურვა	ცენტრი	319,6	2	639,2	
ცენტრის მიმდინარე ხარჯები	ცენტრი	120	12	1 440	
სატრანსპორტო ხარჯები	პირი	130	12	1 560	
სატრანსპორტო და/ან კომუნიკაციის ხარჯები მოხალისეთათვის	პირი	90	12	1 080	
ქვეჯამი				4 719,2	
ადმინისტრაციული ხარჯები					
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე	თვე	401	12	4 807	
საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი	თვე	694,4	12	8 332,8	
ქვეჯამი:				13 140,0	
სულ ჯამი:				26 200	
ძირითადი პროგრამული ხარჯები	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	პროექტის სრული ღირებულება	წითელი ჯვრის ფონდიდან	მუნიციპალი ტეტის ბიუჯეტიდან
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)	200	3	600	0	600,00
გაცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის	380,8	1	380,8	0	380,80

მოხალისეთა ინიციატივების განხორციელება საჭიროებებზე ქმედებისათვის	450	4	1800	0	1800,00
პირველი დახმარების სწავლების ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში (ხულოს სკოლების მასწავლებლები, მე-10-12 კლასებში, ბავშვთა ბაღების მასწავლებლები, ავტოტრანსპორტის მძღოლები და სხვა რისკის ჯგუფები, მინიმუმ 150 ბენეფიციარი)	400	4	1600	0	1600,00
სამედიცინო აქცია (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სხვა ხარჯები) დაუცველი ჯგუფებისათვის	1000	12	12000	9 240	2760,00
ბინაზე მოვლის ბენეფიციართა მხარდამჭერი საქმიანობები	100	12	1200	0	1200,00
საინფორმაციო მასალა (პლაკატები, ფლაერები და სხვა)	600	2	1200	1 200	0,00
ქვეჯამი			18 780,80	10 440	8340,80
სხვა პროგრამული ხარჯები					
საქმიანობათა ცენტრის აღჭურვა	319,6	2	639,2	0,00	639,20
ცენტრის მიმდინარე ხარჯები	120	12	1 440,0	0,00	1440,00
სატრანსპორტო ხარჯები	130	12	1 560,0	0,00	1560,00
საინფორმაციო მასალა (პლაკატები, ფლაერები და სხვა)	90	12	1 080,0	0,00	1080,00
ქვეჯამი			4 719,2	0,00	4719,20
ადმინისტრაციული ხარჯები					

პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე	801,2	12	9 614	4 807,20	4807,20	
საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი	694,4	12	8 332,8	0,00	8332,80	
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე (კატასტროფების მართვა, ჯანდაცვა და სოციალური მხარდაჭერა, პირველი დახმარება, ფილიალების განვითარება, ფინანსები და ლოჯისტიკა)	600,9	6	3 605,40	3 605,40	0,00	
ქვეჯამი			21 552,60	8 412,60	13 140,0	
სულ ჯამი			45 052,60	18 852,60	26 200,00	
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა						
დასახელება			I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სასოფლო და საქალაქო თემის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით.						
თემის მედეგობის გაძლიერება ყოველდღიურ უბედურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.			X	X	X	X
ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის						
მოსალოდნელი შუალედური შედეგი						

1. უზრუნველყოფილია კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება);			
2. გაზრდილია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სოციალური მხარდაჭერა;			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	დიახ

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
1. უზრუნველყოფილია კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება); 2. გაზრდილია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სოციალური მხარდაჭერა;	სასოფლო და საქალაქო თემის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით.	არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფები: მოხალისეები, ქედის მერიის და საკრებულოს წარმომდგენლები, სხვადასხვა ორგანიზაციები	არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფები: მოხალისეები, ქედის მერიის და საკრებულოს წარმომდგენლები, სხვადასხვა ორგანიზაციები	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე
	თემის გაძლიერება ყოველდღიურ უბედურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.	მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობა	მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობა	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე
	ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის.	მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობა	მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობა	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 13
ქვეპროგრამის დასახელება:	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	325 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	325 500
ქვეპროგრამის მიზანი	
ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება.	
ქვეპროგრამის აღწერა	

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. ვინაიდან, საგრძნობლად იზრდება ასეთი ოჯახების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისი გახდა დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფა, რის გამოც საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს:

- 1) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის , წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლ/ზვავი და სხვა) და შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.
- 2) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში და გეოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებელი სახლების შედგომა ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას.
- 3) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით და მასში ცხოვრება შეუძლებელია.
- 4) ოჯახი, რომელიც გაყვანილია ქირით, დაკმაყოფილების (საცხოვრისით, კომპენსაციით) მომენტიდან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.
- 5) დაუშვებელია ერთზე მეტი თვის შესაბამისი თანხის ერთდროულად გაცემა.
- 6) დაუშვებელია ამორტიზებულ ფართში მცხოვრები ოჯახების დაყოფა და ცალკე-ცალკე ფართის დაქირავება კომპენსაციის დადგენილზე მეტი ოდენობის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოჯახი დაყოფილი იყო დაზარალებამდე, ეწეოდა ცალკ-ცალკე მეორნეობას და არიან ენერგომოხმარების დამოუკიდებელი აბონენტები, რაც დადასტურდება მოხსენებითი ბარათით შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ.

პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება დაზარალებულის მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო რეკვიზიტი;
4. შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნა;

5.ხანძრის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურიდან ცნობა;
 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	55	3600	198 000
		12*300	
	2	3000	6 000
		10*300	
	45	2 100	94 500
		7*300	
15	1 800	27 000	
	6*300		
ჯამი			325 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
აღმოფხვრილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფა			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

აღმოფხვრილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფა	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა	41	117	რაოდენობა	20%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 14
ქვეპროგრამის დასახელება:	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	80 400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	80 400
ქვეპროგრამის მიზანი	
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ყოველთვიურად ფინანსური დახმარების გაწევა	
ქვეპროგრამის აღწერა	

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ბავშვზე ზრუნვის ტვირთს ორივე მშობელს თანაბრად აკისრებს, თუმცა პირს, რომელიც მარტო (მეორე მშობლის გარეშე) ზრდის თავის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მშობლის უფლებები და ვალდებულებები მხოლოდ საკუთარ თავზე აქვს აღებული, ასევე მარჩენალის (მშობელი/მშობლები) დაკარგვის შემთხვევაში ოჯახის სოციალური მდგომარეობა, რაშიც იგულისხმება ბავშვის/ბავშვების მორალური და ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, უარესდება.

ვინაიდან, შვილის აღზრდა-განვითარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი კატეგორიის პირებს ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება.

დამატებით ინფორმაცია:

პროგრამით ისარგებლებს - **1) მარტოხელა მშობელი**, რომელთაც ჰყავთ ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ დაბადების აქტში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის ან/დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელთაც შვილად ჰყავთ აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომლებიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.

2) მარჩენალდაკარგული პირი - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი/შვილები 18 წლამდე ასაკის მიღწევამდე.

პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ;
5. ცნობა სააგენტოდან, იმის შესახებ რომ სახელმწიფოს მიერ სარგებლობს მარჩენალდაკარგულის შეღავათებით;
5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი;

ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი	2	1200	2 400
		12*100	
მარჩენალდაკარგული პირი	65	1200	78 000
		12*100	
ჯამი			80 400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი	X	X	X	X	
მარჩენალდაკარგული პირი	X	X	X	X	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი					
1. მარტოხელა მშობლის და მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია; 2. მარტოხელა მშობლის და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსური კეთილდღეობა უზრუნველყოფილია;					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;			გენდერული	დიახ

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაუმჯობესებულია მარტოხელა მშობლის სოციალური მდგომარეობა და ფინანსური კეთილდღეობა	დახმარების მიმღები მშობლის რაოდენობა	1	1	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე

გაუმჯობესებულია მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური მდგომარეობა და ფინანსური კეთილდღეობა	დახმარების მიმღები ოჯახის რაოდენობა	0	65	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:				სოციალური უზრუნველყოფა				
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:						06 02 15		
ქვეპროგრამის დასახელება:	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სერვისების თანადაფინანსება							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური							
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო						2023 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი						108 297		
ასოციაცია „ანიკა“ ევროკავშირის დაფინანსებით						180 453		
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი						288 750		
ქვეპროგრამის მიზანი								
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა და ხანდაზმულთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება								
ქვეპროგრამის აღწერა								

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, კერძოდ კი მკვეთრად ან/და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები უმეტესად ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას, რაც გამოწვეულია ქვეყანაში და საზოგადოებაში არსებული ფიზიკური და სხვა ბარიერებით, მხარდაჭერი სერვისების ნაკლებობით და სხვა, რის გამოც მათ ესაჭიროებათ საზოგადოებრივ და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სფეროებში მხარდაჭერა, კერძოდ, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში გაყოლა, კომუნიკაციაში მხარდაჭერა, საყოფაცხოვრებო ქმედებებში (ჰიგიენა, დაბანა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება, ჯანმრთელობის კონტროლი, სხეულის თვითმოვლაში მხარდაჭერა და სხვა) მხარდაჭერა, რისთვისაც სჭირდებათ დამხმარე სპეციალისტების მომსახურება. ამიტომ ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ხანდაზმულ პირთა/ზავშვთა მხარდაჭერის მიზნით პერსონალური ასისტენტის და შინმოვლის მომსახურების დაფინანსებას. კერძოდ:

1. გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის (დამოუკიდებელ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვა) და შშმ პირთა უფლებების დაცვის 2020 წლის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის (დამოუკიდებელი ცხოვრება) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსონალური ასისტენტის მომსახურებით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იმ პირების (15 პირი) უზრუნველყოფას, რომლებიც ცდილობენ დამოუკიდებელი ცხოვრების წესით ცხოვრებას, მონაწილეობენ სხვადასხვა ყოველდღიურ (საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და სხვა) აქტივობებში, მუშაობენ და / ან არიან მარტოხელა შშმ პირები და საჭიროებენ მხარდაჭერას ისეთ ყოველდღიურ აქტივობებში როგორცაა: ჰიგიენა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება, საოჯახო საქმეებში მაგ. დალაგებაში, საკვების მომზადებაში მხარდაჭერა და სხვა მსგავსი აქტივობები, რომელიც განსაზღვრულია ეროვნულ დონეზე დამტკიცებულ პერსონალური ასისტენტის სტანდარტებით.

1.1. პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯი მოიცავს ბენეფიციარისთვის სერვისის მიწოდების მიზნით ასისტენტის ბენეფიციართან ვიზიტების (საათის) და სერვისის უწყვეტი განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების საფასურს.

2. გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის (დამოუკიდებელ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვა) და შშმ პირთა უფლებების დაცვის 2020 წლის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის (დამოუკიდებელი ცხოვრება) განხორციელების და შშმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს შინ მოვლის მომსახურებით 18 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ხანდაზმული პირების (15 პირი) უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს ისეთ საყოფაცხოვრებო ქმედებებში მხარდაჭერას, როგორცაა:

ა) ჰიგიენური პროცედურები მაგ. დაბანა, საფენების გამოცვლა, სხეულის დამუშავება სხვადასხვა საშალებებით, სხეულის თვითმოვლაში მხარდაჭერა და სხვა;

ბ) ჩაცმაში, კვებაში, გადაადგილებაში მხარდაჭერა;

გ) ჯანმრთელობის კონტროლი, რომელიც სხვა აქტივობებთან ერთად მოიცავს წნევის გასინჯვას, ადგილზე გადასხმის გაკეთებას, კათეტერის დაყენებას და სხვა;

დ) წვრილმანი ტექნიკური საჭიროებების მაგ. ნათურის შეცვლა, სარკმელზე მინის გამოცვლა (ტექნიკური ასისტირება);

ე) საოჯახო საქმეებში მაგ. დალაგებაში, საკვების მომზადებაში და მსგავს აქტივობებში მხარდაჭერა (საყოფაცხოვრებო ასისტირება);
 ვ) შინმოვლის სერვისის საერთაშორისო ან/და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტებით ან/და პრაქტიკით განსაზღვრული სხვა აქტივობები;
დამატებითი ინფორმაცია:

ქვეპროგრამით ისარგებლებენ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქედის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 1 იანვრამდე.

1. პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიღების მსურველისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები: განცხადება, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, შშმ პირის სტატუსის ცნობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვალის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული სხვა აუცილებელი დოკუმენტები.

2. ასისტენტის პოზიციაზე დასაქმების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნასამართლეობის შესახებ, პერსონალური ასისტენტის მომზადების/გადამზადების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დიპლომი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული სხვა აუცილებელი დოკუმენტები.

3. შინმოვლის მომსახურების მიღების მსურველისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები: განცხადება, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, შშმ პირის სტატუსის ცნობა (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით/კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში).

4. შინმოვლის სპეციალისტის პოზიციაზე დასაქმების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნასამართლეობის შესახებ, შინმოვლის სპეციალისტების მომზადების/გადამზადების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დიპლომი და საქართველოს კანონმდებლობით/კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში).

5. ქვეპროგრამა განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, ა(ა)იპ „ასოციაცია ანიკას“ და ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ მიერ „ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების სოციალური სერვისების განვითარება და დამოუკიდებელი ცხოვრების გაუმჯობესება“ პროექტით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვალის N ბრძანება №01-13/ნ-ით და საქართველოს სხვა კანონმდებლობით/კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული პირობებით.

პროგრამის განსახორციელებლად ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო კვარტალში ერთხელ ასოციაცია „ანიკა“ წარმოადგენს წერილობით ინფორმაციას გაწეული მომსახურების შესახებ.

დასახელება	პროდუქტი			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)

პერსონალური ასისტენტების მიერ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული 15 შშმ ბავშვისთვის/პირისთვის ასისტირების სერვისის განხორციელება	საათი	6,344	10	63442
შინმოვლის სპეციალისტების მიერ ხანდაზმულებისა და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 პირისთვის შინმოვლის სერვისის განხორციელება	საათი	3,738	12	44855
მუნიციპალური ბიუჯეტი				108 297
ასოციაცია „ანიკა“ ევროკავშირის დაფინანსებით				180 453
სულ ჯამი:				288 750

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსება	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;	გენდერული	ღიახ
--	---	-----------	------

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილები ს ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
<p>გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და სოციალური მდგომარეობა</p>	<p>ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>25</p>	<p>30</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>10%</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>	<p>ცნობიერების დაბალი დონე</p>